წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. კვირა აგვისტოს 27 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

ბაზეთის ფასი:

თვიურათ	3 მან.
ოთხი თვით	1 თუმანი.
ცალკე ნუმერი	3 შაური.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტით დირს	2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე	5 შაური.

ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9–2 საათამდის, და საღამოს 5–8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 113 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 113

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვალებიდან **10 წლის** შესრულების გამო

კვირას 27 აგვისტოს ქუთაისის საკათედრო ტაძარში, შუადღის 12 საათზე, გადახდილ იქმნება პანაშვიდი

ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლათ.

სამოქალაქო პანაშვიდის დღე ცალკე გამოცხადდება.

საქართველოს ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი.

დღეს, 27 აგვისტოს, დილის 12 საათზე, საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება 10 წლის თავი ტრაღიკულად გადაცვლილი დიდებულ მგოსნის

ილია ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების ქუთაისის მოწაფეები.

გულ დათუთქულნი მშობლები მიხეილ და ნინა, ბიძები იოსებ, ივანე და სიმონ, ბიცოლები ოლღა და ნადეჟდა და ბებია მაკა მდივნები, და ბიძა და ბიცოლა ივანე და ფეოდოსი მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ **22** ამა თვეს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი შვილი პირველისა, მეორისა ძმის სული და მაზლის წული მესამესი შვილისშვილი ხოლო მეოთხესის დის წულის

მარიამ (მარუსიას) მიხეილის ასული მდივანი.

მეშვიდე კლასის ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოსწავლე, პანაშვიდი საღამოს შვიდ 7 საათზედ გამოსვენება **27** ამა აგვისტოს დღით კვირას ნაშუადღევის ოთხს 4 საათზედ, ქუთაისიდგან სოფელს ვაკისუბანში საკუთარ სახლიდგან მესხეთის ქუჩა.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8–2 და საღამოს 7–9–დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით,
ქალაქ ქუთაისში გახსნილია საღამოს საყოველთაო მოსამზადებელი

კურსები,

მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.

მისამართი: ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან –8 საათამდის საღამოს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ბიურო აგვისტოს 16-დან გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი №6 გოგიტიძის სახლი აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება პარტიის ცხოვრებიდან დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-8-მდე.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ, წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

ბათომის კომიტეტი.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 24, 25, 26 და 27 ნაჩვენები იქნება: გომონის ქრონიკა. მიმდინარე ამბები.

სიყვარულის დრო

მხატრული დრამა 4 ნაწილათ, მ. კ. ნეველსკის, ტ. ა. ადამის და სტრიჟევსკის მონაწილეობით.

დუერი შეყვარებულია კომიკური.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 24, 25, 26 და 27 ნაჩვენები იქნება

ხსნის ბაირაღი

მხატრული დრამა ოთხ ნაწილათ მარიამ ბერტელის მონაწილეობით.

ლოკოკინება კომიკური.



ილია ჭავჭავაძე
1837—1907 წ.
გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო.

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

დღეს სრულდება ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველოს საუკეთესო მოღვაწე და დიდებული მგოსანი ილია ჭავჭავაძე ავაზაკთა ხელმა სიცოცხლეს გამოასალმა. ილია ჭავჭავაძის ვერაგულათ მოკვლა ისეთი საოცარი შემთხვევა იყო, რომელსაც ქართველთა მეხსიერებაში დროთა ვითარება ვერასოდეს ვერ წაშლის. ეს სამწუხარო სურათი ჩვენი წარსულისა, ეს გულის სიღრმემდი აღმაშფოთებელი და ფრიად დამაფიქრებელი უბედურება მუდამ წარუხოცელი იქნება ქართველი ერის ხსოვნაში. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ილია ჭავჭავაძე დიდი პიროვნებაა ჩვენს ისტორიაში—და თანაც ასეთი მოღვაწის ვერაგულათ მოკვლა მისივე მამულიშვილთა ხელით—იშვიათი ფაქტია ხალხთა თვითცნობიერების განვითარების ისტორიაში.

ილია ჭავჭავაძე იყო პირველი ნაპერწკალი, რომელმაც მესამოცე წლეებში აანთო ჩამქრალი ცეცხლი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა. ილია ჭავჭავაძე იყო პირველი მერცხალი, რომელმაც პირველათ მძლავრად ასმინა დამონებულ სამშობლოს თავისუფლების იდეა. ილია ჭავჭავაძე იყო გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი ქართველთა ეროვნული განვითარების asპარეზზე. ილია ჭავჭავაძე იყო განსახიერებული სამშობლოს სიყვარული; სიტყვით და საქმით წამებული მგოსანი სასახელოდ უძღოდა წინ ყოველგვარ ეროვნულ შემოქმედებას და ნაყოფიერად აგვირგვინებდა მათ. ილია ჭავჭავაძე იყო პირველი ოსტატი, რომელმაც კეთილგონიერად ჩაუდგა ფუძე ჩვენს ეროვნულ შენობას, რომლის სიდიადე და სიმშვენიერე თანდათან გამოჩნდება და გაბრწყინდება სამშობლო ისტორიის ჰორიზონტზე. ნახევარი საუკუნის ნაყოფიერი მოღვაწეობა და შეუწყვეტელი გულმოდგინე სამსახური სამშობლოს საკურთხევლის წინაშე განსვენებულმა ჯვარცმული სიკვდილით აღბეჭდა. მუდამ შეუგნებლობისა და სიბნელის წინააღმდეგ მოღვაწეობდა წამებული მგოსანი, მუდამ უგნურთა და გონება-შებოჭვილთა განათლებაზე ზრუნავდა და ბოლოს ზვარაკათაც მათ შეეწირა.

დღეს ეროვნული შეგნება ღრმავდება, დღეს ეროვნული მიმართულება იზრდება, მაგრდება და ვითარდება, დღეს ეროვნული თვითგამორკვევა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპათ იქცევა და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჩვენ საზოგადოებას უფრო ნათლათ ეჩვენება ჭავჭავაძის მოღვაწეობა, მისი შოძღვრება და მისი ანდერძი. დიახ! **რაც დღეს კეთდება—ეს ნაყოფია მისგან დარგული ნერგისა.** ილია ჭავჭავაძისაგან ნათესი მარცვალი დღეს აღმოცენდა, ილია ჭავჭავაძისგან დადგმული კერა დღეს აღორძინდა და, რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდებით, რომ ის დიდებული მოღვაწე, იშვიათი მოამაგე და გულმხურვალე ქურუმი სამშობლოს წმინდა საკურთხევლისა უკვდავია და მისი მშობელი ერის ბრწყინვალე მომავალიც უზრუნველყოფილია.

ჭეშმარიტად დიდი პიროვნება იყო ილია ჭავჭავაძე!

რაც სიცოცხლით გვითხრა, ის სიკვდილით დაგვიმტკიცა.

მისი სიცოცხლეც დიდებული იყო და სიკვდილიც საგულისხმო შეიქნა.

ტრიფონ ჯაფარიძე.

წიწამურიდან მთაწმინდამდე

(1907—1917).

წიწამური...

ათი წელია მას მერმე...

საუკუნეები გავლის... წიწამურს ვერ დავივიწყებთ.

იქ მიაღწია უმაღლესს წერტილს ქართველთა დაქსაქსვამ, ეროვნული სულის გათახსირებამ, უმადურობამ, ისტორიის უარყოფამ...

ქრისტეს სარწმუნოება გოლგოთამ დააგვირგვინა.

წიწამურმა ბრმებსაც თვალები აუხილა.

გოლგოთაზე „სიკვდილითა სიკვდილი დაითრგუნა“.

წიწამურში ეროვნულმა დაცემამ ეროვნული სული აამოძრავა, ჩააფიქრა, აღდგენის გზაზე დააყენა.

შეშინდა ყოველი...

დავრწმუნდით, რომ პირისაგან ქვეყნისა აღმოფხვრა მოგველოდა...

ვიგრძენით განსაცდელი, მოვიკრიფეთ ძალა და ერთხმად სამშობლოს სულის მებაირაღტრეთ, თფილისის დარაჯათ მაღლა, მთაწმინდის ფერდზე დავასვენეთ დიდი ილია.

ეკლიანი გვირგვინი ჰბოჭავდა გრძნობას და მოძღვრება ქრისტესი იკრებდა მართლმორწმუნეთ.

წიწამურის მსხვერპლის, მთაწმინდის ვუშაგის მოძღვრება-„ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთნოდეს“-ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ერთმანეთში ღობავს ყოველ ქართველს და თლის, და ჰწნის სანთლავს კიდობანს ერის ბედნიერებისას.

რიგში უკვე ჩაბმულა საქართველო; მართალია, ზოგი მწყობრათ ვერ ადგამს ფეხს, მაგრამ მიდიან კრებულათ, შეერთებულათ და შორს არ არის დღე მთაწმინდის მწვერვალიდან გავიგონებთ:

გიხაროდესთ, ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის...

და მართლ-მორწმუნეთათვის წმინდა მთა მთელი ერის სათაყვანოდ გადიქცევა, როგორც სავანე ილიასი.

Ar.

ილია ჭავჭავაძე.

ილია, პარიზიდან რომ დავბრუნდი 1873 წ. ტფილისს, პირველად მაშინ ვნახე მე, რასაკვირველია, კარგად ვიცნობდი პოეტს მისის ნაწერებით და დიდი თაყვანის მცემელიც ვიყავი იმისი.

ძლიერი და მომხიბლავი იყო ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ილიას გა-

ცნობამ მოახდინა. პირველად მენახა ასეთი ქართველი, ევროპიულად განათლებული, რომელიც მშვენიერის ქართულის ენით მესაუბრებოდა იმ ერთს საათს, რომელიც მე მასთან დავრჩი. თანაგრძნობით შეეხო ჩემს პარიზელ კორესპოდენციებს და მიიხრა: „ეხლა თქვენ თითონ შუაგულს საქართველოში ხართ, რომელსაც დიდი განსაცდელი ადგას. რუსის პოლიტიკა ერთიანად წალეკას უპირებს ჩვენს სამშობლოს და თქვენი მოვალეობაა, გულმოდგინეთ და სიყვარულით ემსახუროთ ერთად ერთ გაზეთ „დროებაში“ საქართველოს საქმეებსაო... თქვენ კარგი აზრი დაგბადებიათ, რომ საფრანგეთში წასულხართ“-განაგრძო პოეტმა,—„რომელიც თავისუფლების აკვნად ითვლება და ისეთ მკვირცხლ და პატრიოტულ ქვეყანაში გაგიტარებიათ რამდენიმე წელიწადი, სადაც ადამიანი საკუთარ სამშობლოს ფასს ადვილად შეიგნებსო“.

ილია დიდი თანამგრძნობელი იყო მაშინდელ რესპუბლიკელ პარტიისა და ნამეტურ გამბეტასი, რომლის მაღალ ნიჭს და გატაცებულ მამულიშვილობას ფრიად აფასებდა. პოეტი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთის რესპუბლიკელთა ბრძოლა მონარხიელებთან რესპუბლიკის გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა... ასეც მოხდა: თავისუფლება დამკვიდრდა და საფრანგეთის ხალხი ამ უკანასკნელ 46 წლის განმავლობაში საოცრად დაწინაურდა, და ისევ პირველი ხარისხის სახელმწიფოთა შორის ჩადგა, რომ რუსეთთან უბედურ კავშირს არ ჩაეთრია დღევანდელ უკნაურ განსაცდელში..

ილია აღზრდილი იყო, როგორც ყველა იმ დროის ქართველი ახალგაზრდობა რუსის მესამოცე წლების ლიტერატურაზე; მას სავსებით შეთვისებული ჰქონდა მსოფლიო აზრები მოწინავე გუნდისაგან საფრანგეთისა და ინგლისის მწერლობისაგან გადმოღებული. მაგრამ ილია ამავე დროს სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა თავის თავს. იგი არ ემონებოდა ბრმად არც ერთს [illegible] არც ერთს აზრს და ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა **დრო, გარემოება და ადგილობრივი პირობები**..

ილია ერთობ დიდი გონიერების პატრონი იყო და ძლიერი ინტელექტის ადამიანი: მას ვერ გადაახვევინებდა სწორი გზისაგან ვერავითარი ძალა, ვერავითარი იდეა, თუ კი სამშობლოს ბედნიერებისაკენ არ მიდიოდა ეს გზა. ილია არ ამბობდა ზოგიერთ რუსის გამოჩენილ მოღვაწესავით. ჯერ რევოლუცია, მერე სამშობლო. ის ამბობდა: ჯერ სამშობლო, ჯერ საქართველო და შემდეგ ყოველივე ის, რაც თავისუფალი ერისთვის საჭირო არის...

მევალე.

(შემდეგი იქნება).

ილია.

საქართველო დღეს მოწიწებით მოიგონებს თავის უერთგულეს შვილს, **ილიას**. 10 წლის წინათ 1907 წ. წიწამურის მინდორში ტრაგიკულად სული დალია ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭის და ძლიერების გამომხატველმა **ილიამ**. ილია გენიოსურათ, სიღრმით ჩასწვდა ქართულ ცხოვრებას და მის აღორძინებისთვის უკვდავი მოძღვრება გადმოგვცა. **„ოთარაანთ ქვრივში“** თანამედროვე ქართველი დაინახავს, რომ მას ნაყოფიერი შრომა შეუძლია, ენერგია აქვს, მაგრამ სრულ სიკეთისთვის აუცილებელია სრულიად ქართველი ხალხის კეთილად განწყობა, „ჩატეხილ ხიდის“ გამთელება.

„კაცია ადამიანში“ ილიამ წარმოგვიდგინა სურათი დაბეჩავებულ, დაუძლურებულ, არარად ქცეულ საქართველოსი, სურათი იმისა, რაც ვიყავით და რაც არ უნდა ვიყოთ.

„ქვათა ღაღადში“ გაგვაფრთხილა და გვაუწყა, თუ სანამდი მივა სტუმრის სითამამე როს მასპინძელი არ ვარგა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ, როდესაც ჩვენი ცხოვრება აირია, მოდუნება-უიმედობამ მიეცა, მაშინ ილია მესიასავით გამოჩნდა და ბნელეთით მოცულ გზაზე ლამპარი აანთო. ილიამ დროის შესაფერ სინამდვილით შეატყობინა ქართველ გლეხს მისი პირდაპირი საჭიროებანი. ილია უქადაგებდა გლეხს მებატონეთაგან მამულების კერძო საკუთრებათ შეძენას, ხოლო რადგან ამისათვის გლეხს სალარი არ გააჩნდა, ილია მოითხოვდა საგლეხო ბანკის გამართვას, რომლის მთავარი მიზანდანიშნულება იყო მამულების გლეხებისათვის გამოყიდვა, რაც ასრულდა კიდეც.

გზა აბნეული „ბრწყინვალე წოდება“ დაუზარებლათ ფლანგავდა მამაპაპათა მემკვიდრეობას და უცხოელებს უგდებდა ხელში საქართველოს მიწა წყალს. ილია მედგრათ შეებრძოლა მათ და რომ ქართველებს უცხოელებისათვის არ მიეყიდნათ მამულ-დედული, ამისთვის ილია აფართოვებდა საადგილ-მამულო ბანკის ოპერაციებს და ქართულ ბანკს აძენიებდა ქართულ მამულებს.

ილია ქართულ ცხოვრებისათვის იცავდა კერძო საკუთრების პრინციპს, რადგან იგი იყო და არის ქართველ გლეხის თანამედროვე მდგომარეობის საფუძველი. ილია გამოვიდა ქართველ ხალხის გადაგვარებასთან მებრძოლათ და **ეროვნულ სახეობის** შეუდრეკელ დარაჯათ. ილიამ გაალვივა უცხოთ მოაზროვნე ინტელიგენციაში ეროვნული თვითცნობიერება.

ილია ერთი იყო, რომელიც გაკაფებით ებრძოდა საქართველოს სიდუხჭირეს. მას რაზმში, ზურგს ბევრი არ უმაგრებდა. ილია მარტო იყო როდესაც სრულიად საქართველოს ხალხს დაცემულ თავმოყვარეობის უფლებების აღსადგენათ ეძახოდა. საქათველოს მთლიანობა, მისი ერთობილ ძალით მოქმედება ილიას აზროვნების ქვა-კუთხედია. 10 წლის თავზე, როდესაც დიდი ცვლილება მოხდა, ქართველ ხალხს საშუალება მიეცა თავის ტკივილებზე და უფლებებზე გაბედულათ ილაპარაკოს, როდესაც ყველაფერი განახლებას გარდაქმნის ქარცეცხლშია გახვეული. ილიას სიტყვა დიდათ საჭირო არის.

10 წლის უკან ილიას არ შეეძლო მთელი გულის ზრახვანი, სულის-კვეთება წარმოეთქვა.

ილიას ქადაგის აღსრულებაში მოყვანა დღეს აუცილებელ მოთხოვნილებათ წამოაყენა საქართველოს სინამდვილემ. „ჩატეხილ ხიდის“ სრულიად გამთელება, [illegible] მოყვარის გარჩევა და ერთობა,—აი, ჩვენი სადღეისო [illegible]. **ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოს**. ეს ჭეშმარიტი სიტყვები უნდა მიგვიძღოდეს დღევანდელ ძრისხანებაში წინ და ძლიერ ნებისყოფა—სურვილით გვამოქმედებდეს.

ილია სარკეა ქართულ ცხოვრებისა. რამდენათ ქართველი კაცი ახლოს გაეცნობა ილიას და სისწორით შეითვისებს მის მრწამსს, იმდენათ იგი დაუახლოვდება საქართველოს ამაღლებას და აღორძინებას.

ი. იმერელი.

ჩვენს მოძღვარს.

ოთხი წლის შენი სამშობლოს ღეჩაქის მომხდელ ჩრდილოეთში ყოფნის შემდეგ, შენ, 24 წლის ჭაბუკმა, როცა პირველად შემოდგი ფეხი ქართლოსიანთა საზღვარზე, იქ, თერგის მშფოთარე ხმებს შენ გაეც პასუხი ყიჟინით, „**ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო**“. ეს ძახილი ნახევარ საუკუნის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ თეთრზე შავად იყო ამოჭრილი და ფარ-ხმალის ასხამდა იმათ, ვისაც ადრე თუ გვიან მოქმედებით უნდა განეხორციელებია ის, რაც გულის ფიცარზე გეწერა შენ, ჩვენო წინამძღოლო! ნახევარი საუკუნის განმავლობაში გულში ვინახავდით ამ ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებს და ველოდით იმ ნეტარ დროს, როცა შეძლება მოგვეცემოდა, ძახილისათვის გამოძახილით გვეპასუხნა: „**დიახ, ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო**“.

ამ მზის სხივები უკვე შეეთამაშენ ჩვენს თვალებს; საქართველოს შვილები შენს დროშის ქვეშ დგანან და ხსნის გზისაკენ უპყრავთ თვალი. დღეს ისინი ტაძრისაკენ გაემართნენ, იქ მუხლთ მოიყრიენ და ღმერთს ავედრებენ ათის წლის წინათ წიწამურის ველზე შუბლ-გახვრეტილ მოძღვრის სულს. დიახ, დღეს ისინი მწარე ნაღვლით იგონებენ ათი წლის წინად საქართველოს მიერ ჩადენილ წარუხოცელ სირცხვილს. დღეს ქართველობა წუთით დანაღვლიანებულა იმ მწარე მოგონებით. ხვალ კი, რაზმი შენი აღზრდილებისა გზას გაუდგება. რაზმი დიდია, სულ-მნათო! იქ არის თავმოყრილი შენ მიერ აღზრდილი ახალგაზრდობა. მათ გვერდში უდგას შენგან შებრალებული შუა ქუჩაში მწოლარე მუშაც. რაზმს წინ მიუძღვის კაკო და ზაქარო და ლოცავს ოთარაანთ ქვრივი. დღეს თუ არა, ხვალ მაინც, გადაიხდიან ისინი ბრძოლას. დღეს, ჭაღარით მოსილის ტანჯულო სულო, წიწამურის სამარცხვინო ტრაგედიას ვიგონებთ. შენს ზეიმს კი მაშინ გადავიხდით, როცა ბრძოლა დასრულდება, და დღეს შეგინებულ საქართველოს ციხე კოშკების ნანგრევებზე კვლავ თავისუფალ საქართველოს დროშა აფრიალდება. და საქართველოს ზეიმი, ეს ხომ შენი ზეიმი იქნება. ბრძოლის გადახდის პარაკლისს კი პირველად მთაწმინდაზე გადავიხდით მებრძოლნო, და იქ მთელი საქართველოს გასაგონათ ბუკით დავძახებთ: „**ჩვენი თავი უკვე ჩვენ გვეკუთვნის!**“

ილარიონ ჟღენტი.

პრესა.

აქამდი სომხური საზოგადოებრივი აზრი თუ პრესა განსაკუთრებით ქართულ ეროვნულ პარტიებზე მოდიოდა იერიშით და ორი ერის ქართველებისა და სომხების, ერთმანეთ შორის უკმაყოფილო დამოკიდებულების მიზეზად ეროვნულ მიმართულების ჯგუფის პრესასა და მუშაობასა სთვლიდა. ამავე დროს სომხურ საზოგადოების აზრი შეუხებლივ სტოვებდა სოციალ-დემოკრატიულ მიმართულების ქართველ წარმომადგენელთ. პირიქით სომხური აზრი ხშირად გარეგნულად ეთანხმებოდა სოციალ-დემოკრატიის ქართველ წარმომადგენელთა აზრს. მაგრამ დრო იცვალა და აშკარა გახდა, რომ სომხური საზოგადოებრივი აზრი სიმპატიით არც ერთ ქართულ მიმართულებისადმი გამსჭვალული არ არის. მას შეუძლია ქართულ რომელიმე ჯგუფს შეუერთდეს მხოლოდ პირადი სარგებლობის მოლოდინით. ამ სიტყვების სიმართლეს ქვემოდ მოყვანილი ფაქტი უფრო დაამოწმებს. როდესაც სომხის საზოგადოების მეტნაწილმა შეატყო, რომ ქართველ სოციალ დემოკრატებთან სვლა მათ არ გამოადგებოდათ, ხელი მოჰყვეს წმიდა პროვოკაციულ ცილისწამებას. მკითხველს ახსოვს ალბათ ინციდენტი, რომელიც თბილისის საქალაქო ახალს საბჭოში მოხდა და დაშნაკცუტუნის წარმომადგენლებმა სოციალ-დემოკრატები ეროვნულ, შოვინისტურ პოლიტიკის მწარმოებლებად მონათლეს. ახლა ასეთ აზრს ძლიერ მოუკიდია ფეხი სომხურ საზოგადოებრივ აზროვნებაში. მაგ. დამფუძნებელ კრების შესახებ წინასწარ მუშაობაში ქართვ. სოციალ დემოკრატები, ჩხენკელი და რამიშვილი ამიერ კავკასიის ხუთ სარჩევნო ოლქად დაყოფას ითხოვდენ. ჩვენთვის აქ საინტერესოა იმდენად არა ამ დაყოფის სისწორე, რამდენად ის დასკვნა, რომელიც სომხურ აზროვნებას გამოჰყავს აქედან.

ჩხენკელისა და რამიშვილის აზრს მუსულმანთა წარმომადგენელმა მელიკ-ასლანოვმაც დაუჭირა მხარი. სომეხთა გავლენიანი ორგანო, ამიროვის ჟურნალი „არმიანსკი ვესტნიკი“ დემოკრატიზმის გამარჯვებისათვის ასეთ აზრს მიუღებლად სთვლის და ამიერ კავკასიის ერთ სარჩევნო ოლქად აღიარებას მოითხოვს. ჟურნალი არ კმარობს ჩხენკელისა და რამიშვილის შეხედულებათა მეტად საეჭვო არგუმენტაციებით გარჩევას, ის ქართველ სოციალდემოკრატებს აფრთხილებს, შემდეგში ასეთი შეცდომა არ მოუვიდეთ, რადგან დღევანდელი ს. დ. მარცხის შემდეგ (sic) აშკარა გახდა, „რომ ადგილობრივ სოციალ დემოკრატიის მარჯვე პოლიტიკოსთა ხელში ყველაფერი უფრო დემოკრატიული ხდება, რაც კი ეხება მათ პარტიულსა, ეროვნულსა ან... ან პირად ინტერესებს“. (არმ. ვესტნ. № 32 გვ. 4). ბრალდება საკმაოდ დიდია! მაგრამ ყოველივე ამასთან ეს განგაში ჩვენთვის საგულისხმოა იმ მხრით, რომ სწორედ ააშკარავებს სომხურ საზოგადოებრივ აზრის ჩვენთან დამოკიდებულებას. ისინი ყველაფერზე უფრო მაღლა თვის ეროვნულ მოთხოვნას აყენებენ საკუთარ ეროვნულ სურვილის განხორციელებას მოითხოვენ; თუ მათ მხარი დაუჭირეთ, ხომ კარგი, მათი ძვირფასი ამხანაგი ხართ, ხოლო თუ თქვენზე ხმა ამოიღეთ, ან თუ მათ მოთხოვნათა ჩაყენება მოინდომეთ სამართლიანობის ფარგალში, პირაქეთ შოვინისტობასა და შავრაზმელობას დაგწამებენ. მაგრამ ვიმეორებ, ეს ბრალდება დიდ შედეგიანი და მნიშვნელოვანი არაა, მაგრამ საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც სომხებს ახასიათებს. ამ მხრით კი სომხურმა აზროვნებამ ქართველებს დიდი სამსახური გაუწია სომხების პოლიტიკის ხასიათის გამომჟღავნებით.

რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

კონტრრევოლუციური შეთქმულობის გამოძიება.

პეტროგრადი. აგვისტოს 23. კონტრრევოლუციურ შეთქმულობის გამოძიება ენერგიულად სწარმოებს. გამოირკვა, რომ დაპატიმრებულ დიდ მთავრებთან და ყოფილ მეფის ახლობლებთან დამოკიდებულება ქონიათ მარჯვენა ფრთის წარმომადგენლებს. ბევრი მათგანი ფაქტიურად არ ღებულობდა შეთქმულებაში მონაწილეობას, მხოლოდ თანდათანობით ჩაითრიეს ისინი ამ საქმეში. შეთქმულობისათვის თურმე დიდძალ ფულს აგროვებდენ. შემომწირველებს თურმე კარგათ წარმოდგენილიც არა ჰქონდათ, თუ რა მიზანს უნდა მოხმარებოდა მათი ფული. შეთქმულობა გავრცელებული იყო მოსკოვსა, კიევსა, ოდესასა და ციმბირზე.

ყოფილი მეფის მეთვალყურენი.

ყოფილი მეფის ტობოლსკში ყოფნის გამო დროებითმა მთავრობამ დაადგინა ტობოლსკში დაინიშნოს კომისარი და ორი მისი თანაშემწე.

უკრაინის რადის დელეგაცია.

პეტროგრადს მოვიდა უკრაინის რადის დელეგაცია. იგი წარუდგა მინისტრთავმჯდომარესა და სხვა მინისტრებს, რომელთაც გააცნო გენერალ სეკრეტარიატში ასარჩევად დასახელებულ პირთ ვინაობა.

„სტაროობრიდცების ყრილობა“

მოსკოვი. აგვისტოს 23. „სტაროობრიადცები“-ს ყრილობამ აუცილებელ საჭიროებად სცნო სხვა და სხვა ადგილებში სტაროობრიადელთა პოლიტიკურ კომიტეტების დაარსება, რომელთაც უნდა უხელმძღვანელონ „სტაროობრიადცებს“ დამფუძნებელ კრებისა თუ სხვა საზოგადო დაწესებულებებში არჩევნების დროს. სასურველად სცნეს შეერთება კადეტებთან, სახალხო სოციალისტებთან ან „ედინსტვო“-ს ჯგუფთან.

თანამდებობათა გაუქმება.

პეტროგრადი. აგვისტოს 23. დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა დადგენილება, რათა გაუქმებულ იქნეს თანამდებობა სამიწადმოქმედო მუშაობათა, სახაზინო მიწათა მოწყობისა და სახაზინო მიწების დამფასებელ დავალებათა მოხელეებისა. აგრეთვე გაუქმებულ უნდა იქნეს თანამდებობა ადგილობრივ სახელმწიფო სამიწო ფონდების გამგეთა.

დახმარება ჯარის კაცებს.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა ის სისურსათო დახმარება, რომელიც ჯარის კაცთა და მათ ოჯახებს უნდა მიეღოთ 1912 წლის 25 აგვისტოს კანონით მიეცეთ მათ ამა წლის 1 სეკტემბრიდან მუდამ ერთი თვით ადრე.

ახალი ზომები

ბრძოლის ასპარეზზე მდგომარეობის საგრძნობლად შეცვლის გამო დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა შექმნას პეტროგრადში საგანგებო სამმართველო ახლად დაარსებულ კოლეგიალ ორგანოს სახით. ამ სამმართველოს არჩეულებრივი უფლება ექნება მას დაექვემდებარება პეტროგრადის ყველა სამოქალაქო მთავრობა. სამმართველოს უფლება ექნება მიიღოს საგანგებო ზომები ქალაქში წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვისათვის, ცალკე პირთა ქალაქიდან გაძევებისა და გაზეთების დაკეტვისათვის. საგანგებო სამოქალაქო სამართველომ უნდა დასცალოს პეტროგრადი ზედმეტ ელემენტთაგან, პირად ინტერესების მიუხედავათ პეტროგრადის სამხედრო ოლქის მართვა სრულიად დაექვემდებარა უმაღლეს მთავარსარდალს.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო სიკვდილით დასჯის შესახებ.

აგვისტოს 18. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომა.

ნ. ს. ჩხეიძემ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით წინადადება მისცა სხდომას—მოისმინა მოსკოვის თათბირის შესახებ მოხსენება და შემდეგ მსჯელობა იქონია.

ბოლშევიკების სახელით ფედოროვმა განაცხადა, რომ განსახილველია მორიგი და მეტად მნიშვნელოვანი საკითხები: სიკვდილით დასჯისა, დაჭერილ ბოლშევიკებისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანიზაციის შესახებ.

სოციალისტ—რევოლუციონერთა პარტიის სახელით კაპლანმა განაცხადა, რომ ამ სხდომას გადამწყვეტად სთვლის და პირველად სიკვდილით დასჯისა და დაჭერილთა საკითხების განხილვას თხოულობსო. **ჩხეიძემ** კენჭი უყარა აღმასრულებელ კომიტეტის წინადადებას. უმრავლესობამ იგი უარჰყო და კაპლანის წინადადება მიიღო.

სიკვდილით სასჯელის შესახებ მომხსენებლად გამოვიდა მენშევიკ-ინტერნაციონალისტი მარტოვი. მან აღნიშნა, რომ რუსეთის ყველა კუთხიდან მოდის რეზოლუციები, რომლითაც სიკვდილის დასჯის გაუქმებას მოითხოვენო. მარტოვმა წინადადება მისცა კრებას შემდეგი რეზოლუცია მიეღო. გვაქვს რა მხედველობაში: 1) რომ სიკვდილით დასჯას, როგორც დანაშაულობასთან საბრძოლველ საშუალებას უარყოფს არამცთუ ყველა სოციალისტური პარტია, არამედ თითქმის ყველა დემოკრატი; 2) რომ სიკვდილით სასჯელი მძიმე დაღს ასვამს საერთოდ მცხოვრებთ და კერძოდ რუსეთის იმ უბედურ შვილებს, ვინც ნებით თუ უნებლიეთ მონაწილეობს სასჯელის გამოყენებაში; 3) რომ სიკვდილით სასჯელი თანდათან ჯარის-კაცების შესაშინებლად მიღებულ ზომად ჰხდება 4) რომ სიკვდილით სასჯელს კონტრ-რევოლუციის ყველა მოღვაწენი თავიანთ მოქმედების შესავლად სახვენ 5) რომ შესაძლოა ჯარის დაშლას წინააღმდეგობა გაუწიოთ არა მხეცურ ზომებით, არამედ მის დემოკრატიზაციით და იმ შეგნებით, რომ იგი იმპერიალისტურ მიზნებისთვის არ იბრძვის—მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სწყვეტს: პროტესტი განაცხადოს ფრონტზე სიკვდილის შემოღების გამო; მოითხოვოს დროებით მთავრობისაგან მისი გაუქმება, ზიზღი გამოეცხადოს იმ მილიტარისტულ და ბურჟუაზიულ წრეებს, რომლებიც სასჯელის შესახებ აგიტაციას ეწეოდნენ;—საყვედური სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტს, რადგან აქამდი იმდენი გამბედაობა ვერ იქონია, რომ სიკვდილით სასჯელის საკითხი აღეძრა.

სოციალისტ-რევოლუციონერების სახელით **იაკოვლევმა** ილაპარაკა. მან სთქვა: ფრონტზე სიკვდილის შემოღება ჩააფიქრებს უბრალო ჯარისკაცს: რატომ სიკვდილით დასჯა გენერალ სუხომლინოვს ან და მეფე რომანოვს არ ხვდება წილადო. ვიდრე სიკვდილით დასჯის საკითხს გადასწყვეტდეთ დიდხანს უნდა ვიფიქროთ. სიკვდილით დასჯა ფრონტზე ხომ ჩვენ სოც. რევოლუც. ამხანაგებმა შემოიღეს. კერენსკი ხომ ჩვენია, სავინკოვიც და ისინი კი სიკვდილით სასჯელს მოითხოვდნენ (ბოლშევიკები იცინიან) ნუ იცინით (ყვირის იაკოვლევი) აქ ტირილი გმართებთ. უნდა განვეცადოთ ის ტანჯვა, რომელსაც განიცდიდნენ ამხანაგები კერენსკი და სავინკოვი ვიდრე სიკვდილით დასჯის კანონის შემოღებას გადასწყვეტდნენ. მოიგონეთ კალიაევის უკანასკნელი წუთები და თვით სავინკოვი ხომ სასწაულით გადარჩა, იგი ხომ საპყრობილეში სასჯელს ელოდა. მათი გაკიცხვა არ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ გაფრთხილება, რომ ამ მძიმე იარაღს არ მიმართონ. იაკოვლევის მიერ სოციალისტ-რევოლუციონერების სახელით წამოყენებული რეზოლიუციიდან.

იაკოვლევის შემდეგ **წერეთელმა** ილაპარაკა.

აქ კითხულობენ რა იყო მიზეზი, რომ ცენტრალური კომიტეტი სიკვდილით სასჯელის შესახებ ხმას არ იღებდა, რა იყო მიზეზი რომ უმრავლესობა ბელადებმა პროტესტი არ განაცხადეს მის შესახებო. ამაზე მე გიპასუხებთ: ვინც ეს სთქვა, მას ცენტრალ კომიტეტის მოქმედებისთვის თვალ-ყური არ უდევნებია. სიკვდილით სასჯელის შემოღების მეორე დღეს ცენტრალ კომიტეტის სხდომა იყო. მინისტრ სოციალისტები ანგარიშს ვადგენდით ჩვენს მუშაობის შესახებ. აქ ჩვენ საყვედური გამოგვიცხადეს. ამის გამო მივმართე მარტოვს, რომ თქვენი საყვედური ეხლა დაგვიანებულია და და ეხლა ახალი, ერთი მეტად სერიო-

ზული რამ არის საკითხი—ამაზე თქვენ არაფერი სთქვით. რატომ მაშინ არაფერი სთქვით სიკვდილით დასჯის შესახებ,—იმიტომ რომ ეს ივლისის 315 ივნისის შემდეგ იყო. მაშინ თუ გაჩუმდით, ალბად იყო ისეთი რამ, რაც გაჩუმებდათ (ბოლშევიკების პროტესტები).

და მოხდა, ის რომ იმ რევოლუციონერმა, ვინც სიკვდილით დასჯის მოსპობით ამაყობდა, ხელი მოაწერა სიკვდილით სასჯელის შემოღების კანონს. მაშინ იკითხეთ თუ რად იქნა შემოღებული სიკვდილით სასჯელი. ჯერ კიდევ ყველას ახსოვდა პეტროგრადში მოახდარი სისხლის ღვრა და ფრონტზე უბედურება. გადარეული ჯარის საქციელი ხომ ყველას აწითლებდა. დიახ, მკაცრ საჭიროების მორჩილებამ შემოიღო სიკვდილით სასჯელი და აი თვეზე მეტია რაც ეს სასჯელი არსებობს. მითხარით ამხანაგებო, განა რას მიაღწევთ სიკვდილით სასჯელის მოსპობით. ხომ არ გსურთ მოუწოდოთ ქუჩებში პოლკებს და დროებით მთავრობის ჩამოგდებას შეეცადნეთ.

მოუწოდებთ კიდეც და დროებით მთავრობას ჩამოგდებასაც შევეცდებით,—უპასუხებენ ბოლშევიკები.

—არა თქვენ ქუჩებში პოლკებს ვერ გაიწვევთ—უპასუხებს წერეთელი. ამ შემთხვევაში პატიოსნებაა საჭირო

—სირცხვილია,—ისმის ბოლშევიკების ხმა.

—დიახ, მეც ვამბობ—სირცხვილია, მხოლოდ დაე ისტორიამ განსაჯოს, თუ ვინ იქნება შერცხვენილი მე თქვენ გკითხავთ, განა შესაძლებელი იქნებოდა ერთ თვის წინად სიკვდილის შემოღება? რა თქმა უნდა, არა, თვით გუჩკოვსაც კი არ მოესიზმრებოდა ეს. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. განა ფრონტზე ღალატს არ ჰქონდა ადგილი, განა წინ წასული პოლკები არ გასცეს?

— გენერლებმა—ყვიროდენ ბოლშევიკები.

— დიახ, გენერლებმა—უპასუხებს წერეთელი—და ასეთი გენერლები უნდა დაისაჯნენ. უნდა ვეცადნეთ რომ სიკვდილით სასჯელის იარაღი რევოლუციის ხელში უნდა იყოს და არა მის წინაღმდეგ მოქმედებდეს. ამჟამად ბრძოლაა რევოლუციისა და კონტრ-რევოლუციას შორის. რევოლუცია მტკიცედ სდგას თავის ასპარეზზე. თქვენ ეხლა წამოჰყავით თავები სიკვდილით სასჯელის შემოღების მეორე დღეს კი არსად სჩანდით. მას მქუხარე ტაშით აჯილდოვებენ.

მშრომელ სახალხო სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ პარტია პრინციპიალურად წინააღმდეგია სიკვდილით სასჯელისა.

ტრიბუნაზე ისევ მარტოვი ადის.

— ბევრი რამ სთქვა წერეთელმა, მაგრამ ის კი ვერავინ გაიგო, მოითხოვს თუ არა წერეთელი სიკვდილით სასჯელის გაუქმებას. წერეთელმა სთქვა. „ივლისის 3—5 ის ამბები რომ არ მომხდარიყო—არც სიკვდილით სასჯელი იქნებოდა“-ო (ხმები: მართალია“) შეიძლება მართალიცაა მაგრამ შესაძლოა ტყუილიც იყოს. მაგრამ მე ვერ გამიგია, როგორაა ეს, რომ პეტროგრადში ივლისის 3 ის სროლამ ფრონტზე სიკვდილით სასჯელის აღდგენა გამოიწვია. ჩვენ არ გვსურს ვინმემ უსაყვედუროს სოც. რევოლიუციონერებს, რომ მათ სიკვდილით სასჯელის შემოღებაზე ხმა არ ამოიღეს, ამიტომ უნდა განუცხადოთ დროებით მთავრობას, რომ ჩვენ უარს ვაცხადებთ სიკვდილით სასჯელის შემოღების მხრის დაჭერაზე ჩხეიძე კენჭს უყრის მიყოლებით მარტოვის რეზოლუციას. შემდეგი გამოურკვეველია, და, ამიტომ მარტოვის წინადადებით კენჭი ეყრება მარტო იმ პუნქტს, რომელიც ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს უცხადებს პროტესტს. ამ პუნქტის მომხრე აღმოჩნდა 381—მოწინააღმდეგ 428.

მარტოვის რეზოლიუცია სიკვდილით სასჯელის წინააღმდეგ უმრავლესობის მიერ მიღებულ იქმნა. წერეთელმა თავი შეიკავა.

ქალაქთა კავშირის ყრილობა მოსკოვში

მოსკოვი. აგვისტოს 23. სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი ოქტომბრის პირველისათვის ქალაქთა კავშირის მე 7-ე ყრილობას იწვევს მოსკოვში.

კონტრ-რევოლუციურ შეთქმულების გამოძიება.

პეტროგრადი. აგვისტოს 23. კონტრ-რევოლუციურ შეთქმულების გამოძიება ენერგიულად სწარმოებს. დამტკიცდა, რომ ამ უკანასკნელ დღეებში შეპყრობილ დიდ მთავრებს და ყოფილ მეფეს ზოგიერთ მახლობელ პირებს მემარჯვენეებთან ჰქონდათ კავშირი. გამოირკვა აგრეთვე, რომ მონაწილეთ დიდძალი ფული ურიგებიათ. შეთქმულობის ქსელი გაბმული ყოფილა არამ თუ მარტო პეტროგრადში, არამედ მოსკოვში, კიევში, ოდესაში და ციმბირში.

სუხომლინოვის გასამართლება.

პ. დ. ს.

დეპეშები:

გენერალ ალექსეევის ჩვენება და მაკაროვის ჩვენება.

პეტროგრადი. აგვისტოს 22. ჩვენების ბოლოში გენერალი **ალექსეევი** ამბობს: ომის წინ ავსტრიელების ჯაშუშები მთელ კიევის მხარეს მოედვენ. ავსტრიის საელჩო კიევში ცენტრი იყო, სადაც აგროვებდენ ცნობებს სხვა მხარეებიდან ჩვენი საწინააღმდეგო გამოძიება სუსტათ იყო მოწყობილი. შემდეგი მოწმე ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი **მაკაროვი**, რევოლუციის დღეებში დაპატიმრებული, ამბობს: როცა ვიყავი მინისტრის ამხანაგი, მივიღე ცნობა მიასოედოვზე, რომელიც ჟანდრების ოფიცრათ მსახურობდა ვერჟბოლოვთან, რომ მას ნება დაურთველათ შემოჰქონდა იარაღი. სტოლიპინმა ბრძანა გამოძიება მოეხდინათ; გამოირკვა რომ მიასოედოვი ახლო სდგას გერმანელების დაწესებულებებთან, იღებს მათგან ფულით დახმარებას. დასასრულ ბრძანება იყო, რომ მიასოედოვი გადაეყვანათ შიგა რუსეთში მიასოედოვმა სამსახურს თავი გაანება და დაიწყო კომერციული საქმეების წარმოება, შეთანხმებაში შევიდა ავსტრო-გერმანელების მესარკეებთან, რომლებიც ჯაშუშობდენ. როცა მაკაროვი მინისტრათ გახდა გაიგო რომ მიასოედოვი ხელ-ახლათ შესულა სამსახურში და გაწესებულია სუხომლინოვთან. მაკაროვმა გააფრთხილა სუხომლინოვი, მაგრამ მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მიასოედოვი კი ცდილობდა გაეცნობოდა საწინააღმდეგო ჭვერვას, თითქმის ცდილობდა დაემთვალიერებია სამხედრო საქმეები პოლიციის დეპარტამენტები. 1912 წელს აპრილში მაკაროვმა მისწერა სუხომლინოვს ოფიციალური წერილი და მიასოედოვმა მხოლოთ მაშინ დაანება სამსახურს თავი. მაკაროვმა სუხომლინოვი ალტშულერზედაც გააფრთხილა, რომელზედაც არა კეთილ საიმედო ცნობები ჰქონდა სუხომლინოვმა არც ამას მიაქცია ყურადღება.

მოწოდება.

ვინ არ უწყის, რა სამსახურს უწევდენ ასი წლის წინათ ჩვენი ეკლესია და მისი მოძღვარნი ჩვენს ტურფა ქვეყანას—საქართველოს; ვისთვის შეადგენს საიდუმლოებას ის გარემოება, რომ ეკლესია იყო მთავარი მატარებელი სარწმუნოებრივ-ეროვნული სულისა და იგი სცდილობდა თანდათანობით, უფრო და უფრო, გაეღვივებია ნაპერწკალი და აენთო ქართველთა გულში ის ცეცხლი ნამდვილ-ჭეშმარიტ მამულის შვილის, რომელიც მუდამ მზათ იქნებოდა თავისი თავი სამსხვერპლოზე ზვარაკათ მიეტანა თვისი სამშობლოს კეთილდღეობისა და დაწინაურებისათვის; ვინ არ დაგვეთანხმება იმაში, რომ ეკლესიამ და მხოლოდ მან შესძლო დღემდის მოეტანა და არ მოესპო სრულიად ჩვენი ვინაობა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ 117 წლის განმავლობაში მწარე უღელქვეშ ვიმყოფებოდით და ყოველი მხრივ ჩვენი მტერ-მოყვარენი, საერო და სასულიერო მთავრობანი, სცდილობდენ ჩვენს გადაგვარებას-გარდაცვლას? ასე იყო, თუ ისე, ქართველმა ერმა თვისი ნახევრად გარუსებულ, მაგრამ მაინც ქართული ეკლესიის დახმარებით შესძლო დღემდის მოეტანა ჩვენი ენა, კულტურა და ისტორია, რომელნიც ამაყად გვეუბნებიან, რომ ქართველი ერი, რომელსაც დიდებული წარსული აქვს არ მოისპობა, იგი იარსებებს იმ დრომდის, სანამ ცა და დედამიწა ერთი მეორეს არ შეეჯახებიანო.

დღეს, როდესაც თავისუფლების სიომ დაჰბერა და ყველა ეროვნება შეუდგა თავის თვით მოვლა-პატრონობას, ქართულმა წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიამაც განიძრახა აეგოს და მოეწყოს ნამდვილ დემოკრატიულ ავტონომიურ პრინციპებზე. ამისათვის მან ნაბიჯი ჯერ კიდევ 12 მარტს გადადგა და დღემდის განაგრძობს მუშაობას ახალ წეს-წყობილებისათვის. დღეს ყველამ უწყის. რომ 8 ენკენისთვისათვის გადაწყვეტილია მოწვევა საეკლესიო დამფუძნებელი კრებისა, რომელმაც საბოლოოდ უნდა შეიმუშაოს სახე (სტატუტი) ახალი ეკლესიისა, შეუფარდოს იგი დღევანდელ პირობებსა და ერის მოთხოვნილებათ და მიუჩინოს მას ღირსეული წინამძღოლი (კათალიკოსი). ეს საქმე, რა თქმა უნდა, შრომასთან ერთად დიდს ხარჯებსაც თხოულობს, ვინაიდან იგი გასტანს დაახლოებით სეკტემბრის ბოლო რიცხვებამდი ჩვენს მტარვალთაგან გაძარცულს ეკლესიას კი არავითარი საშვალება არ მოეპოვება ამისთვის საქართველოს ეკლესიის დროებით მართველობის იმერეთის განყოფილება მოგმართავთ თქვენ, რომელთაც შერჩენიათ დღემდის ქართველის სული და გული, სიყვარული ეკლესიისა და მამულისა აღმოგვიჩინოთ ამ ფრიად მნიშვნელოვან სარწმუნოებრივ და ეროვნულ საქმის მოწესრიგებაში ნივთიერი დახმარება, რაც დიდის მადლობით იქნება მიღებული და ოქროს ასოებით აღბეჭდილი, როგორც მომავალი თავისუფალი საკათალიკოზო ეკლესიის კედლებზე, აგრეთვე მომავალი თაობის გულის ფიცარზედაც.

შემოწირულება მიიღება ქ. ქუთაისში სრულიად საქართველოს ეკკლესიის დროებითი მმართველობის იმერეთის განყოფილების სახელზე.

სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მართველობის იმერეთის გამყოფილება.

ქ. ქუთაისის.

ოლია.

„აწმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია“.
ი. ჭ

გულ-მკვდარი ყვავილები სიამით გადიშალა,
ამირან მზე-ჭაბუკი ამსხვრევს რკინის ბორკილებს,
შეთენდა... მტარვალები, ცრემლისგან დაიცალა.
თავისუფალი ქვეყნის შვილთ ვერვინ დაგვიმორჩილებს.
კოლხეთის ყვავილებათ ენთება სიყვარული,
უკვდავ სიმფონიითა ზღაპრებს გვეჩურჩულება,
ოცნებობს ივერია და გვიპყრობს სიხარული
ტანჯულ მგოსნის საფლავით ხარობს თავისუფლება.
აენთო ცეცხლის სიტყვა მზისგან შეფერილია.
„აწმყო თუ არ გვწყალობდა, მომავალი ჩვენია“
საფლავით გვიალერსებს საყვარელი ილია.
მოგვესწრო დღე ნეტარი, ვხარობთ არ მოგვწყენია.
ავაფრიალოთ დროშა, ან დღეს,—ან არასოდეს,
დიდება ნანატრ დღესა, ამბორ-ვყოთ მგოსნის საფლავს,
რომ მარად მისი სიტყვა მზეობდეს, ალმასობდეს.
ქება ტანჯულ ერის შვილს, ჩვენსა წინამძღოლს ვარსკვლავებს!

ლადო მაჭავარიანი.

„მთაწმიდის ლანდები“-დან.

წიწამურის წამებული მგოსანი,
ჭაღარ სახით მარად ჰარმაგოსანი,
განგმირული ვერაგული ფანდებით—
გვეცხადება რაინდების ლანდებით!
სადაც ჰგიებს აჩრდილები ამათი,
იმართება საიდუმლო კამათი.
მხნე ილია სევდიანი თვალებით
ეუბნება თეთრ რაინდებს წვალებით:
„მთაწმინდაზე ჯერ არ განმისვენია...
„მითქვამს, ვამბობ—ჩვენი თავი ჩვენია!...
„რაინდებო! შეიყვარეთ მამული,
„წიწამურში ჩემი სისხლით ნამული.
„შეიყვარეთ ლანდი ჭაღაროსანი,
„მას მისდევდეთ ყველა ტაიჭოსანი!..
„საგაზრდილოს დაკარგული დიდება—
„ომშიგანვე ბრძოლით შეისყიდება!...
და სცილდება აჩრდილების ნაპირებს...
რაინდებიც ამბოხებას აპირებს.
იდუმალობს მთაწმინდაზე მზადება—
ქართვლისათვის მსხვერპლად თავის დადება.
უბელადებს შეფიცულებს ღამეში,
დილაბინდზე ცისკრის სიკამკამეში—
წიწამურის წამებული მგოსანი,
ჭაღარ სახით მარად ჰარძაგოსანი!...

შალვა კარმელი.

პასუხი.

მღ. მ. მიხეილ ბუაჩიძეს.

მამაო მიხეილ!

ვინაიდგან ის ჩემი ამხანაგები (მღ-ბი ი. წერეთელი და ს. ჭელიძე), რომლებსაც თქვენ ჩემთან ერთად პასუხსა სთხოვთ, ამ ჟამად სოფლად იმყოფებიან და მაშასადამე, სანამ თქვენი ღია ბარათი მათ თვალთა და ყურამდე მიაღწევდეს, შეიძლება თქვენ მიერ დადებული მოკლე ვადა (3 დღე) ერთიც გავიდეს და რომ თქვენ ამ საგანზე წერის [illegible] თქვენი თავი და აღარც პატივცემულნი [illegible] შეაწუხოთ,—ნებას ვაძლევ ჩემს თავს მათ მაგიერ და ჩემდაც შემდეგი მოგახსენოთ:

თქვენ, მამაო მიხეილ, სადი მეხსიერების ადამიანი ბძანდებით და მაშასადამე კარგათ გენახსოვრებათ, რა განგაში და აურ ზაური ასტყდა კრებაზე, როდესაც თქვენ ჯვარი ჩვენ წინ მაგიდაზე დასდეთ და თანაც შემდეგი განაცხადეთ: „ავტოკეფალიის საქმის მოსაგვარებლად ვსწირავ მე ჩემს ჯვარსაო“. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ თქვენი ჯვარი აიღო მღვდ. მ. ვ. მესხმა, მოგაწოდათ თქვენ და გითხრათ: „მიიღეთ ჯერ-ჯერობით უკანვე და, თუ არ გნებავსთ, მე წავიღებ და ამის ფასს კომიტეტს მე წარმოვუდგენო“. ამ სიტყვების შემდეგ ჩვენ ის ჯვარი აღარ დაგვინახავს და არც ვიცოდით, თქვენ წაიღეთ იგი, თუ მ. მესხმა. ჩვენ ხელში თუ კიდე მოსულიყო იგი, მას ჩვენ ისე მოუვლიდით, როგორც თქვენ მიერ წარმოგზავნილ მენდლებს—ყუთში შევინახდით—დროებით.

თქვენ ხომ ამ ორი კვირის წინათ ბძანდებოდით ჩვენთან და მღ. მ. იასონ აბესაძის თანდასწრებით მომკითხეთ ჯვარი. მეც მოგახსენეთ, რომ ჯვარი წაღებული აქვს მღ. მ. ვლ. მესხს და მას სურს მისი ყიდვა თქო, მაგრამ, როგორცა სჩანს, თქვენ ამით არ დაკმაყოფილებულ ხართ და გსურთ პრესა აახმაუროთ. ამისათვის თქვენ მიერ დასმულ ორ კითხვაზე უნდა შემდეგი გიპასუხოთ:

1) თქვენ მიერ შეწირული ჯვარი არ არის დაკარგული. 2) თქვენს შეწირულებას ჩვენ ჯერ-ჯერობით, სანამ დამფუძნებელი კრება, რომელიც უკვე კარს გვადგია, არ შესდგება, არ ვფიქრობთ რაიმე მსვლელობა მივსცეთ, რადგან დამფუძნებელ კრებაზე გადაწყდება ახალი ნიშნის, ნაცვლად ნიკოლოზ II მიერ ბოძებულ ჯვრებისა, შემოღება-ტარება, რაც მინდობილი აქვსთ ჩვენ საუკეთესო ღვთის მეტყველებს. იმავე კრებაზე დაისმის საკითხიც იმის შესახებ, თუ როგორ და რას მოვახმაროთ არსებული ჯვრები-საზოგადო საქმეს, თუ პირადს და ამისათვის ჩემის ფიქრით უკეთესი იქნება შევეცადოთ მით უმეტეს რომ ერთ ჯვარში აღებული ფული ჩვენს [illegible] და, [illegible] რომ არ იყოს, იარმუკში, გავიტანოთ იგი თუ როგორ მოვიქცეთ? განა არ შეიძლებოდა დროებით იგი თქვენთან ყოფილიყო? მაგრამ ეს თქვენ არ განებებიათ.

ნუ ფიქრობთ იმას, ვითომ მარტო თქვენი აზრი იყოს ჭვრების შეწირვა-ამას სხვებიც ფიქრობენ, მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკი იქნება მომავალ კრებაზე, მანამდის კი გაჩერებულები არიან, რადგან კარგათ ესმისთ, რომ ამა თუ იმ კერძო პირის გამოსვლას და მათ აზრს დიდი არაფერი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის. კარგათ გახსოვსთ, რომ სამღვდელოებამ ტანისამოსის (კაბა-ანაფორის) შეცვლაც დაადგინა, მაგრამ იმ დღეს არავის ეს ტანისამოსი არ გაუძვრია და ამ აზრის დადასტურებას ელოდებიან დამფუძნებელი კრებისაგან.

თქვენც შეგეძლოთ ასე მოქცეულიყავით, მაგრამ ეს ხომ ჩემი საქმე არაა, ყველა თვისი საქმე თვით უწყის.

მღვდელი **გერვასი ბარათაშვილი.**
24 აგვ. 1917 წელ.

ახალი ამბავი.

პანაშვიდი ილიას სულის მოხახსენებლათ დღეს საკათედრო ტაძარში დილის, საათის 12 ზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლათ

მიტროპოლიტ ლეონიდეს განცხადება საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრემ, თბილელმა მიტროპოლიტმა, ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტში შემდეგი განცხადება შეიტანა: „ბოლოდროს გახშირდა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ სამღვდელო პირთა სამსახურიდან დათხოვნა, ეკლესიის გასაღების და ქონების ჩამორთმევა. ასეთი მოქმედება არსებითად ეწინააღმდეგება სასულიერო მთავრობის უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს მინისტრთა ყოფილ თავმჯდომარის თ--დ ლვოვისგან. სამღვდელო პირთა დათხოვნა ადგილობრივ აღმ. კომიტეტებს არ შეუძლია. რაიმე უსიამოვნებას და უწესოების დროს საერო მთავრობას ნება აქვს [illegible] იმ სასულიერო პირის წინაღმდეგ საჩივარი აღძრას და მისი დაჩქარებით განხილვა სთხოვოს სასულიერო მთავრობას. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გუბერნიის კომისარებს განკარგულება დაუგზავნა, რომ ამიერიდან აეკრძალოთ ადგილობრივ აღმ. კომიტეტებს სამღვდელო პირთა გადაყენება. განკარგულება მოუვიდა აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის კომისარს. კომისარმა მაზრის და სოფლების აღმ. კომიტეტებისადმი უკვე გასცა შესაფერი განკარგულება, რომ ხსენებულმა კომიტეტებმა არ მიისაკუთრონ ზედმეტი უფლება.

◆ **ცნობა გუბერნიის კომისარს.** მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო გუბერნიის კომისარს, გრ. გიორგაძეს ატყობინებს, რომ სოფელ მაზრებში დადიან უცნობი პირები, თავის თავს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს რწმუნებულებათ სთვლიან, ახდენენ ჩხრეკას და ატუსაღებენ ხალხს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო და გუბერნიის კომისარი აცხადებენ, რომ ხსენებული პირები ბოროტად სარგებლობენ სხვისი უფლების ყალბით მითვისებით, რისთვისაც მათ უსასტიკესი სასჯელი მოელისთ. სოფელში ან მაზრაში გაჩხრეკის მოხდენა და დაჭერა შეუძლიათ, მხოლოდ გუბერნიის კომისარის და მუშ. ჯარ. საბჭოს მიერ დავალებულ კაცებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ შესაფერი მოწმობა.

„სამხედრო ორგანიზაცია ქუთაისის გარნიზონისა“.

◆ **სახელმწიფო გადასახადების შესახებ.** ფრ. მმართველობის ცნობით 1915 წლიდან მთელ სახელმწიფოში ძლიერ შემცირებულა სახელმწიფო გადასახადების შეტანა, ფრ. მმართველობამ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება, წარმოადგინა სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოს ფინანსიური გაჭირვება და შემდეგი დაადგინა: გუბერნიების კომისარებს განკარგულება დაეგზავნოს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგენ გადასახადების წესიერათ აკრების საქმის მოგვარებას. გუბერნიის კომისარებმა უნდა გამართონ წინასწარი თათბირი ადგილობრივ რევოლუციურ ორგანიზაციების და ხარჯთ ამკრეფ ინსპექტორების მონაწილეობით, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რა არის მთავარი დაბრკოლება გადასახადების შეჩერებისა და რაგზით შეიძლება მისი გადალახვა. შესაძლოა თუ არა სახალხო მილიციებს დაეკისროს გადასახადების აკრეფის საქმის წარმოება. ამ საგანზე აგვისტოს 24 ს ქუთაისის გუბერნიის კომისარის ბ-ნ გრ. გიორგაძის და სხვათა მონაწილეობით უკვე მოხდა თათბირი, რომლის დადგენილებასაც დაწვრილებით შემდეგ ნუმერში დავსტამბავთ.

◆ **კომისრების კრება.** აგვისტოს 28-ს თბილისში დანიშნულია ამიერ-კავკასიის გუბერნიების კომისრების თათბირი. ქუთაისიდან თათბირში მონაწილეობის მისაღებათ გაემგზავრება გუბ. კომისარი გრ. გიორგაძე.

◆ **საქონლის ჭირი.** ლეჩხუმის მაზრის აღმ. კომიტეტი ქუთ. გუბ. კომისარს ბ-ნ გრ. გიორგაძეს ატყობინებს, რომ მთელ ლეჩხუმის მაზრაში მძინვარებს საქონლის ჭირი. რომელთანაც საბრძოლველი წამალი არ აქვს მაზრას. აღმ. კომიტეტი თხოულობს სასწრაფოთ მოაშველონ წამალი.

◆ **ქურდობის განზრახვა.** აგვისტოს 26 ღამით მოშე თავდიდიშვილის სავაჭროში შეიპარა ალ. რიჟინაშვილი და აპირებდა კასის გატეხას, რომელშიც 10000 მან. ფული იყო. მილიციელებმა ყური მოჰკრეს, რომ მაღაზიიდან რაღაც ხმაურობა მოისმოდა, სასწრაფოთ აცნობეს პატრონს, რომლის შემდგომაც რიჟინაშვილი შეიპყრეს.

◆ **მიტკლის აღმოჩენა.** სასურსათო საქმეთა კომისარებმა მესხმა და ლეკვიაშვილმა თავდიდიშვილის ფართლის სავაჭროში აღმოაჩინეს 81 თოფი მიტკალი.

◆ **არჩევანი.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტის წევრებათ აირჩიეს დ. საყვარელიძე და ბ. ფალავა.

◆ **გადაყენებულ პოლიციელთა რაოდენობა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სამილიციო მმართველობა სთხოვს გუბერნიის კომისარებს, საჩქაროთ წარუდგინოს მას რაოდენობა გადაყენებულ პოლიციელთა (მე-5 და მე-6 ჩინისა).

◆ **სამხედრო ტყვის შესახებ.** სრულიად რუსეთის წითელ ჯვრის სამმართველო ქუთაისის გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ კოსტანტინე მინიძე, ბაღდათის მცხოვრები, წაყვანილია ტყვეთ და თხოულობს ნივთიერ დახმარებას.

◆ **შუბის წვერი.** საქართ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ. თავმჯდომარეს ბ-ნ ტრიფონ ჯაფარიძეს ვერა გედევანიშვილის ასულმა გადმოსცა სვანეთში ნაპოვნი ძველი შუბის წვერი.

◆ **კრება.** ორშაბათს აგვისტოს 28 ს კლასიკურ გიმნაზიაში დანიშნულია ქალაქის სასურსათო კომიტეტის კრება. კრებაზე გასარჩევია ფრიად საყურადღებო კითხვები.

◆ **არჩევნები.** დღეს ქუთაისში მოხდება სასულიერო მრევლის წარმომადგენლის არჩევანი თბილისში ენკენისთვის 8-ს კათალიკოსის არჩევნებში სამონაწილეოთ გასაგზავნათ.

◆ **ლექცია.** დღეს აგვისტოს 27-ს, დილის 11 ნახ. საათზე ელექტრო-თეატრ „რადიუმის“ დარბაზში შვეიცარიის უნივერსიტეტის დოცენტი, მ. კ. აბრამოვიჩი, წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას შემდეგ თემაზე: „რა არის ბოლშევიზმი?“ ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. დაწვრილებით პროგრამებში.

◆ **სახელმწ. დაწესებულებათა მოსამსახ. თათბირი.** დღეს რეალურ სასწავლებლის შენობის დარბაზში დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის, ბათომის და სოხუმის ოლქების სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კრება ნივთიერ მდგომარეობის, საკუთარ კოოპერაციის, კავშირის გაფიცვის მოხდენის და სხვა მიმდინარე კითხვებზე სათათბიროთ.

◆ **ბინის მქირავებელთა** იმ პირთ, რომელთაც აინტერესებს ბინის დამქირავებელთა კავშირის დაარსება, სთხოვენ მობრძანდენ კვირას, 3 სექტემბერს, რეალურ სასწავლებელში.

ჟურნალ გაზეთებიდან.

პეტრეს ქალაქის დაცლის გამო.

განზრახულია ენკენისთვის 1-დან დაიწყონ დედა ქალაქის დაცლა. ამისათვის გადაწყვეტილი იყო პეტრეს ქალაქის ზოგიერთ დაწესებულება ქ. ნიჟნინოვგოროდში გადაეტანათ. ნიჟნი ნოვგოროდის ქალაქის მმართველობა დეპეშით აუწყებს პეტრეს ქალაქის მმართველობას, რომ იგი ვერც ერთ დაწესებულებას ვერ მიიღებს სურსათის კრიზისის გამო.

უცხოეთის ვალიუტა.

დრ. მმართველობამ განიხილა უცხოეთის ვალიუტის კითხვა და შემდეგი დაადგინა:

1. დაარსდეს ცალკე კომისიები უცხოეთის ვალიუტის საქმის მოსაგვარებლათ;
2. უცხოეთის ვალიუტა ძალაში შევა და განაწილდება, მხოლოთ განსაკუთრებულ კომისიების დამოწმების შემდეგ.

სიკვდილით დასჯა.

ხ-ს კორპუსის სარდლის გენ. პურგასოვის მკვლელს გატ. ხამიდულახს რევოლუციურმა სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. გადაწყვეტილებას კომისარმა ხელი მოაწერა. რევოლუციის შემდეგ ეს პირველი სიკვდილით დასჯაა.

გაზეთის დაკეტვას თხოულობენ.

1. მოგილევის მუშათა და ჯარ.-კაც. დეპუტატების საბჭომ სამხედრო მინისტრს მოთხოვა, რომ დაიკეტოს გაზ, „არმიისა და ფლოტის უწყება“, რომელიც კონტრრევოლუციურია და აგიტაციას ეწევა რევოლუციურ დემოკრატიის ორგანოების წინააღმდეგ.

კომისარების უფლება.

ბრძოლის ველზე მყოფ ლაშქრის კომისარების უფლება დიდათ გააფართოვეს. კომისარები დანიშნულ ფრონტის მთელ საქმეების შესახებ პასუხს აგებენ დრ. მმართველობის წინაშე. ამის გამო კომისარებს ნება მიეცათ, დამოუკიდებლათ, საკუთარ მოსაზრებით გადასწყვიტონ ფრონტზე აღძრული კითხვები და პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდეთ პეტრეს ქალაქთან და მთავარ სამხედრო ბანაკთან.

შიმშილობა.

1. მოგილევში პური გათავდა. მცხოვრებელი ცხენის ხორცით იკმაყოფილებენ თავს. ბრბომ გამოაცხადა, თუ სამ დღეში სანოვაგე არ შემოსულა ქალაქს ავიკლებთო.

ექსცესები

ქ. რიაზანში 1000 ქალი და კაცი მიესია სავაჭროებს და რბევას შეუდგა. მილიციამ ვერაფერი გააწყო.

თვითგასამართლება.

ყაზანში ცეცხლისგან დაზარალებულმა ბრბომ სამ კაცზე შური იძია და სიცოცხლე მოუსპო.

უცხოელ მწარმოებელთა ჩივილი

პავლოვის რაიონში არის ფრანგ კაპიტალისტების ქაღალდის ქარხანა. ქარხნის დირექცია დრ. მმართველობას ატყობინებს, რომ მუშებმა ეკონომიურ ნიადაგზე გამოაცხადეს გაფიცვა. ქარხანამ საქმე სამედიატორო სასამართლოს გადასცა რის შემდგომაც მუშებს ფული მოემატათ და მორიგებაც მოხდა. მიუხედავათ ამისა, მუშებმა მოქმედება არ განაახლეს და ქარხნის დირექციის მიმართ ფიზიკური ძალადობა იხმარეს. მუშებმა სცემეს ხსენებულ ქარხნის ინჟინერს ფორიეს, წაართვეს მას საკუთარი ქონება და დაუმტვრიეს ბინა. ფრანგი კაპიტალისტები დრ. მმართველობას სთხოვენ, ჩვენი პირადი არსებობა უზრუნველ ჰყავითო.

მანუფაქტურის კრიზისი

სასურსათო სამინისტროში აურაცხელი თხოვნები და პროტესტები მოდის მანუფაქტურის კრიზისის გამო. სამი მაზრა მოითხოვს მანუფაქტურაზე დაუყოვნებლივ მონოპოლია იქმნას შემოღებული. ერთი მაზრა სწყრება, რა მთავრობაა, რომ ვერც ერთი საქმე ვერ მოუწესრიგებიათ.

გარეშე საქმეთა სამინისტროში

რომის პაპის საზაო ნოტამ უარყოფითი გამოძახილი ჰპოვა რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში სამინისტრო პაპის საზაო გამოსვლას გერმანელ ხრიკათ სთვლის.

განათლების სამინისტროში.

მოკლე დროში მოხდება ბჭობა სწავლა-განათლების საქმის ახალ დემოკრატიულ საფუძვლზე დაყენების შესახებ. ბჭობას სხვათა შორის დასამტკიცებლათ წარედგინება პეტრეს ქალაქში მომხდარ მასწავლებელთა და მზრუნველთა ყრილობას რეზოლიუცია; ყრილობას სხვათაშორის დაუდგენია; რომ ადგილობრივ სწავლება დაწესდეს სამშობლო ენაზე.

შრომის სამინისტროში.

მინისტრ სკობელევს სამი გამოჩენილი პირი მოუწვევია, რომელთაც ჰგზავნის სხვა და სხვა დარგის გაფიცულ მუშებთან მოსალაპარაკებლათ. ხსენებულ სამ კაცს მუშები დიდ პატივს სცემენ და ისინი ცნობილი არიან როგორც პარტიის ინტერესების დამცველები.

ყაჩაღობა.

ხარკოვში 20-მდე შეიარაღებული მძარცველი ყოველ ღამე გამოდის და სისტემატიურ ძარცვა გლეჯას აწარმოებს. როდესაც მილიცია ვერაფერს გახდა, მაშინ მათ წინააღმდეგ ჯავშნიანი ავტომობილები გამოუშვეს, შანტაჟისტებმა ჯავშნიან ავტომობილს ამფეთქებელი მასალები ესროლეს და წინა ნაწილი დაუწვეს. ამას წინათ გაძარცვეს ერთი ებრაელის ოქროულობის მაღაზია, საიდანაც 100, 000 მან. ღირებულება წაიღეს.

ციმბირის ავტონომია.

ციმბირის საოლქო ყრილობის ყველა დელეგატები ვერ დაესწრენ. ამიტომ ყრილობა წინასწარ კონფერენციათ გამოცხადდა. ყრილობის განსახილველ უმთავრეს კითხვას შეადგენდა ციმბირის ავტონომია. გამოიტანეს რეზოლუცია, რომელიც შემდეგ უნდა დაადასტუროს ციმბირის საერთო დამფუძნებელმა ყრილობამ. ავტონომიის შესახებ რეზოლუცია ასეთია. ციმბირის ავტონომია უნდა მოეწყოს ფედერატიულ საფუძვლებზე, კანონმდებლობითი უფლება უნდა გადაეცეს ციმბირის სათათბიროს, აღმასრულებელი უფლება ციმბირის მინისტერთა კაბინეტს, უმაღლესი სამოსამართლო უფლება განსაკუთრებულ ციმბირის სენატს. სოც.-დემოკრატებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს. სოც.-დ—ბი პროტესტში აღნიშნავენ, რომ ავტონომიას შემთხვევითი ხასიათი აქვს; მას ცუდათ შეხედავენ რუსეთშიდ. საზღვარ გარეთ; ამას გარდა ციმბირელების სეპარატისტულ სულის კვეთებას ეროვნულ კითხვის დიდი გამწვავება მოყვებაო ყრილობის წევრების უმრავლესობა რომლებიც ავტონომიას მოითხოვენ, სოციალისტ- [illegible] სოციალ დემოკრატების პროტესტი უყურადღებოთ დაუტოვებია.

კორპუსების გადმოყვანა.

„ბირ. ვედ.“ იუწყება. ჰინდენბურგმა ბრძანება გასცა რუსეთის ასპარეზზე დასავლეთის ასპარეზიდან 3 კორპუსი ჯარი გადმოიყვანონ. კრონ-პრინცი წინ აღუდგა ფელდმარშალ ჰინდენბურგის განკარგულებას და მოითხოვდა ფრანგთა წინააღმდეგ სერიოზულ ოპერაციების დაწყებას. დავაში ჩაერია ვილჰელმი და ჰინდენბურგის მოთხოვნილება დაადასტურა.

ენვერ ფაშა და ზავი.

სოფიის გაზეთ—„ეხო ბულგრ.“ში მოთავსებულია ენვერ ფაშას საუბარი ჟურნალისტებთან. ოსმალეთის ფაქტიურ მმართველს ენვერ ფაშას უთქვამს. „ზავი არ არის ჩქარა მოსალოდნელი. რუსეთის წელში გატეხვის შემდეგ მოსალოდნელია ომმა სახე იცვალოს და ისევ გაგრძელდეს. მე პირადათ მუდამ წინ მიმდგას ბალკანეთის ამბები. ის, რაც 1912 წ. ბალკანეთზე მოხდა შეიძლება, დღესაც განმეორდეს“.

რას ამბობენ გერმანელები?

ბერლინი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს რევოლუციურ რუსეთის ამბებს. პრესა დღეში ორ სამ წერილს- შენიშვნას სტამბავს „აღმოსავლეთის საფრთხის შესახებ.“ (ასე ეძახდენ რუსეთს). „ბერლინერ. ტაგებლ.“ სწერს: „რუსეთის რევოლუცია უსათუოდ დამარცხებას ირგუნებს, რის გამოც რუსეთის ტრაღიკული დღეები დაუდგებაო“. ჩინეთის გამოსვლა გერმანელებს სახაცილოთ არეყოთ და მას არავითარ არსებით ყურადღებას არაქცევენ. გერმანული გაზეთები ხოტბას ასხამენ ვატიკანს და რომის პაპს საზავო მოწოდებებისთვის. საზამთრო კომპანიისთვის გერმანეთში სისტემატიური მზადებაა. კარტოფილი და პური უკვე გამონაგარიშებულია. იარაღის დამზადება ქარხნებში გაორკეცებულათ სწარმოებს. დიდ ძალს აქცევენ მახჩოლავ გაზებს. ბრძოლის ველზე გერმანელთა ჯარის გამარჯვება მცხოვრებთა შორის ენთუზიაზმს აახლებს.

აბრამოვიჩის ლექცია.

ორშაბათს, 24 აგვისტოს, აბრამოვიჩმა ელექტრო-თეატრში „რადიუმში წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: ეროვნული კითხვა დამფუძნებელ კრებაზე“. ლექტორმა მოხსენების დაწყებისთანავე განაცხადა, ეროვნული კითხვა ათასგვარად იჭრება, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დაისმება ეს საკითხიო; ხოლო საკითხის სამართლიან დასასმელად საჭიროა თვით ეროვნების, ნაციის რაობის განმარტებაო. ამას შემდეგ მომხსენებელი შეუდგა ნაციის ახალ თვალსაზრისით (sic) განხილვას. ნაციობას, ეროვნებას განსაკუთრებით სხვა და სხვა ჯგუფებას კონფლიქტი, უთანხმოება ახასიათებს.

დღევანდელ კაპიტალისტურ ხანაში ყველაზე უფრო აშკარათ, ყველა დროზე უფრო გარკვეულად სჩანს ნაციონალი, სპეციალური ეროვნული თვისებები. სოციოლოგიაში არსებული, ე. წ. ბუნებრივი თეორიის მიმდევრები ნაციის განმასხვავებელ მიზეზების შემქმნელად რასიულ თვისებებსა სთვლიდენ. მაგრამ რასიულობით რომ ნაციის სპეციფიური ხასიათის გაგება შეიძლებოდეს, მაშინ ისეთ შემთხვევას არ ექნებოდა ადგილი, რომ რაც უფრო რასიობა ახასიათებს კაცობრიობას, მით ნაკლებია ნაციონალური, წმიდა ეროვნული განსხვავება. ეროვნული თვისებები მხოლოდ რასიულობის წაშლის შემდეგ იწყებიან. დღეს ნაციური სხვა და სხვაობა მეტად დიდი და თვალსაჩინოა. დღევანდელ ხანას კი კაპიტალიზმი ახასიათებს. აქედან ლექტორი უკვე ლოღიკურად იმ დასკვნას დაადგა, რომ ნაციობის მთავარი შემქმნელი მიზეზია კაპიტალისტური წესწყობილება. ნაციობა კაპიტალისტური ხანის დამახასიათებელი თვისებაა.

ხოლო ამ ხანაში მთავარი მომენტი ნაციის შექმნისა არის ტეხნიკური და იდეოლოგიური. ტეხნიკური წინ უსწრებს იდეოლოგიურს და აგრეთვე განსაზღრულ ფარგალში აყენებს მას. ნაციური თავისებურობა იმ ქვეყანას ეტყობა, სადაც ტეხნიკა იწყებს განვითარებას. ამ მხრივ ყველაზე წინ სდგას ინგლისი თანამედროვე სახელმწიფოთა შორის. თუ უძველეს სახელმწიფოთა ნაციურ თავისებურობაზე შეიძლება ლაპარაკი, იმდენად, რამდენადაც იმ ძველ სახელმწიფოებშიდაც კაპიტალისტური მეურნეობა იკიდებდა ფეხს. თავდაპირველად ტეხნიკის სარბიელზე პირველად გამოსული სახელმწიფო გადალახავს დაბრკოლებას, რომლის შემდეგ მეორე სახელმწიფო მისგან იღებს მაგალითს და მალე მრავალ სხვა დასხვა სახელმწიფოებში მყარდება სრულიად ერთნაირი სოციალური ძალები. ხოლო აი ამ სოციალურ ძალთა თავისებური შენაწევრება, შეთანხმება სწორედ არის ნაციურ თავისებურობის შემქმნელი. ამგვარად ნაციას მხოლოდ სოციალური ურთიერთობა ჰქმნის, ლექტორმა ასე-თი დასკვნის შემდეგ სთქვა: ნაციობა ეს თავის მოტყუებაა. არსებობს მხოლოდ სოციალ ძალთა განწყობილება და შენაწევრება. აგრეთვე არ არსებობს ერთი ეროვნული კულტურა, არამედ არსებობს კულტურა კლასიური და მხოლოდ კლასიური.

ეროვნების რაობის ასე განმარტების შემდეგ ლექტორი გადავიდა საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტაზე და დაბეჯითებით არწმუნებდა საზოგადოებას ეროვნული კითხვის იდიალური გადაწყვეტა კულტურული ავტონომია არისო. მაგრამ იგი ტერიტორიულ ავტონომიასაც არ უარყოფდა. ამ შეხედულების გატარების დროს ლექტორი ხელმძღვანელობდა სამეურნეო თვისებითი და სამეურნეო რაოდენობითი დახასიათებით. მხოლოდ, ტერიტორიული ავტონომია, ლექტორის აზრით, არის არა ეროვნულ კითხვის გადაწყვეტა, არამედ გადაწყვეტა ადმინისტრაციული კითხვისა, ხოლო ეროვნული კითხვის იდიალური გადაწყვეტა კულტურული ავტონომია არისო, რიხით დაამთავრა კულტურული ავტონომიით გატაცებულმა ლექტორმა. ლექტორს რამდენიმე პირი შეეკითხა და გამოეკამათა. მაგრამ როგორც დამაკმაყოფილებელი არ იყო შემკითხველთა და მოკამათეთა მხარე, არანაკლებ ცუდი იყო თვით ლექტორი თვისი დამცინავი და ათასჯერ გამეორებული, ხოლო დღეს ისევ ვითომ ახლად გადაქცეულ აზრებით.

ლექციას ხალხი გვარიანად დაესწრო, ხალხი ნაშუადღამევის 1 საათზე დაიშალა.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 47 წ.
„	— სალამ. —	8 ს. 49 „
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 55 „
„	— ღამის —	11 ს. 42 „
„	— დილის —	10 ს. 20 „
ფოთიდან	— დილის —	8 ს. 17 „
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. „
	დილის —	9 ს. 10 „
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	8 ს. 25 „
„	— ღამის —	10 ს. 20 „
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს. 1 „
„	— დღით —	1 ს. 40 „
„	— დილის —	6 ს. 20 „
ფოთისაკენ	— დღისით —	3 ს. 18 წ.
ტყიბულისაკენ	— დილის —	7 ს. 57 „
	— დღით —	2 ს. 37 „
ხაშურისაკენ	— დღით —	4 ს. 40 „

იყიდება წულის გასათბობიანი
ცინკის
ვანა
იკითხეთ გენერლის ქუჩ. ფეიქაროვის სახლი

ექიმები

ი. ჩარექოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.
(სისხლში უსხმს „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.
ტელეფონი № 135.

ბ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოისეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავადმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი-

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო
და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების
გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**